ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XX
თბილისი. 2024

გიორგი ქართველიშვილი
თსუ

„გლობალური ჩინეთი“ და მისი გავლენა საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიაზე

1. შესავალი: თანამედროვე ჩინეთის „გლობალური აღზევება“ და ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობები

ჩინეთის ე.წ. გლობალური „აღზევება“ (*the Rise of China*) უახლესი ისტორიული პროცესია, რომელსაც შესამჩნევი გავლენა აქვს, ერთი მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებსა და მათ ეკონომიკებზე, პოლიტიკასა და საზოგადოებებზე, ხოლო მეორე მხრივ, ზოგადად გლობალურ წესრიგსა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაზე.[1]

ჩინეთის გლობალური მნიშვნელობის ძალად ჩამოყალიბება მისი ეკონომიკის უპრეცედენტო ზრდის როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლებით შეგვიძლია ავხსნათ. თუ 1978 წელს, საბაზრო რეფორმების (*gǎigé kāifàng*) დაწყებისას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ) 149,54 მილიარდი აშშ დოლარი იყო, 2022 წლის მონაცემებით ის 17,96 ტრილიონი აშშ დოლარია. 1990 წლიდან 2022 წლამდე ჩინეთის მშპ მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (მუპ) მიხედვით 30-ჯერ, 1,11 ტრილიონი აშშ დოლარიდან 30,33 ტრილიონამდე გაიზარდა. ჩინეთი დღეს, მშპ-ის (მუპ) მიხედვით მსოფლიოს უდიდესი, ხოლო ნომინალური მშპ-ის მი-

[1] მაგ. იხ. X. Yan. Zhongguo jue qi ji qi zhan lue [The Rise of China and its Strategy]. Peking University Press. 2005; D. Shambaugh. Power Shift: China and Asia's New Dynamics. University of California Press. 2006; M. Li. The Rise of China and the Demise of the Capitalist World Economy. Pluto Press. 2008; G. J. Ikenberry. The Rise of China and the Future of the West: Can the Liberal System Survive? Foreign Affairs, 87(1), 2008, გვ. 23–37; J. Yue. China's Rise in the Age of Globalization: Myth or Reality? Palgrave Macmillan. 2018.

ხედვით მსოფლიოს სიდიდით მეორე ეკონომიკაა.[2] იმავდროულად, 1960-2022 წლებში ჩინეთის მოსახლეობა 667 მილიონიდან 1,41 მილიარდამდე გაიზარდა, ხოლო სიღარიბიდან ამოვიდა 800 მილიონზე მეტი ადამიანი.[3]

ჩინეთის ეკონომიკისა და საზოგადოების ამ მასშტაბურ რაოდენობრივ ტრანსფორმაციას თან ახლავს გლობალური ეკონომიკური გავლენის ხარისხობრივი ზრდაც, განსაკუთრებით კი 2010-იანი წლებიდან. 21-ე საუკუნეში ჩინეთი კაპიტალდეფიციტური და კაპიტალის იმპორტიორი ქვეყნიდან, კაპიტალის ექსპორტიორ ეკონომიკად იქცა[4]. მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ ლანდშაფტზე ჩინეთის ამბიციურ სტრატეგიებსა და გეგმებს, როგორებიცაა „სარტყლისა და გზის“, „გლობალური განვითარების“ და „გლობალური უსაფრთხოების“ ინიციატივები. ამ პროცესში განსაკუთრებით საინტერესოა განვითარებადი ქვეყნები, სადაც ჩინეთი განსაკუთრებით აქტიურია. აქ, პირველ რიგში, გლობალურ სამხრეთი იგულისხმება, ხოლო დღეს უკვე პოსტ-საბჭოთა სივრცეც, სამხრეთ კავკასიის ჩათვლით.

მრავლისმეტყველია საქართველოსა და ჩინეთის ურთიერთობების ბოლოდროინდელი დინამიკაც. 2017 წელს საქართველომ ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და გახდა პირველი ქვეყანა, რომელსაც ეს შეთანხმება ერთდროულად ჩინეთთან და ევროკავშირთან აქვს დადებული. 2023 წლის აპრილში პეკინსა და თბილისს შორის დადებულმა სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებამ ჩინეთის სამხრეთ კავკასიისადმი მიდგომის ახალი ეტაპი მონიშნა. დოკუმენტში მკაფიოდ აღინიშნა, რომ საქართველო, როგორც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარტნიორი და მეგობარი ქვეყანა, აქტიურად მონაწილეობს „სარტყლისა და გზის ინიციატივაში“ („სგი“) და მხარს უჭერს ჩინეთის მიერ შემოთავაზებულ „გლობალური განვითარების“ და „გლობალური უსაფრთხოების“ ინიციატივებს. გარდა ამისა, მხარეები აცხადებენ მზადყოფნას ხელი შეუწყონ

[2] World Bank. World Development Indicators: China. 2022. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://data.worldbank.org/country/china

[3] World Bank. World Development Indicators: The World Bank In China. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.worldbank.org/en/country/china/overview

[4] H. Hung. The Tapestry of Chinese Capital in the Global South. Palgrave Communications, 4(1), 2018.

თანამშრომლობას ტრანსპორტის, კომუნიკაციების, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციისა, და პირველ რიგში, „შუა დერეფნის“ ინფრასტრუქტურული ჯაჭვის განვითარების მიმართულებით[5]. საქართველო, მისი გეოგრაფიული მდებარეობისა და გეოეკონომიკური პოზიციის გათვალისწინებით, „შუა დერეფნის“ - აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი სახმელეთო მარშრუტის, მნიშვნელოვანი რგოლია. თავის მხრივ, პეკინისთვის „შუა დერეფანი“ ერთ-ერთი ყველაზე პრიორიტეტული სატრანზიტო დერეფანია მისი მასშტაბური „სგი“-ს ევრაზიული სტრატეგიის ქვეშ.

არსებული ლიტერატურის მიხედვით იკვეთება რამდენიმე ძირითადი მოტივი, რომლებიც ჩინეთის გლობალურ ეკონომიკურ სტრატეგიასა და ჩინური კაპიტალის მსოფლიოში გადინებას უდევს საფუძვლად.

პირველი, ესაა ჩინეთის ეკონომიკაში არსებული ჭარბინვესტიციისა და ჭარბწარმოების პრობლემა. ამ გამოწვევის პასუხად, კაპიტალის მასშტაბური გადინება შესაძლებელი გახადა 30 წლის განმავლობაში სწრაფად მზარდმა, ექსპორტზე დამყარებულმა ეკონომიკამ და მის შედეგად გაჩენილმა უზარმაზარმა საგარეო სავალუტო რეზერვებმა.[6]

მეორე, ახალი ღირებულებითი და მიწოდების ჯაჭვების შექმნა და არსებულის გაუმჯობესებაა, ჩინეთის ეკონომიკის უფრო ეფექტურად დასაკავშირებლად მთელს მსოფლიოსთან და განსაკუთრებით, დასავლეთის ქვეყნებთან. „სგი“ დიდწილად, ამ სტრატეგიულ მიზანს ემსახურება. ერთი მხრივ, მიზანი ჩინეთის ‘ჩამორჩენილი რეგიონების განვითარება’ და მათი გლობალურ, ‘ჰოლისტურ განვითარების პროგრამაში ინტეგრაციაა’.[7] მეორე მხრივ, ამ მასშტაბური ინიციატივის ამ-

[5] Embassy of the People’s Republic of China in Georgia. Full Text: Joint Statement of the People’s Republic of China and Georgia on Establishing a Strategic Partnership. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: http://ge.china-embassy.gov.cn/eng/xwdt/202308/t20230807_11123383.htm

[6] იხ. H. Hung. The Tapestry of Chinese Capital in the Global South. Palgrave Communications, 4(1). 2018, გვ 2. და S. Kaplan. Globalizing Patient Capital: The Political Economy of Chinese Finance in the Americas. Cambridge: University Press. 2021, გვ. 108.

[7] C. K. Johnson. President Xi Jinping’s "Belt and Road" Initiative: A practical assessment of the Chinese Communist Party’s roadmap for China’s global resurgence. Center for Strategic & International Studies (CSIS). 2016, გვ. v.

ოცანაა როგორც ახალი ბაზრების და ამასთან, დამატებითი მოთხოვნის გაჩენა ჩინური საექსპორტო საქონლისათვის, ასევე შესაბამისი გლობალური ინფრასტრუქტურული ჯაჭვების მშენებლობა მზარდი საერთაშორისო ვაჭრობისთვის.[8]

მესამე მიზეზი გულისხმობს წვდომას ჩინეთის ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ბუნებრივ რესურსებზე,[9] რაც, პირველ რიგში, ენერგო და სამთომოპოვებით სექტორებს აქცევს ჩინური კაპიტალის ძირითად სამიზნეებად.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის „გლობალური აღზევების“ ფენომენი და მისი პოლიტეკონომიური ასპექტები კარგადაა შესაწავლილი სხვადასხვა პრიზმითა თუ სხვადასხვა რეგიონულ კონტექსტში, ჩინეთის აქტივობისა და გავლენების უახლესი ისტორიული ტენდენციები და მისი შედეგები სამხრეთ კავკასიასა თუ საქართველოში ჯერ კიდევ ახალი და ნაკლებად შესწავლილი საკითხებია.

ჩინეთის „გლობალური აღზევების“ კონტექსტის ფონზე, და საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიის მაგალითზე (ოფიციალურად, „ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია“), ეს სტატია ეხმიანება შემდეგ საკითხებს: რა პოლიტეკონომიური ლოგიკა და ინტერესები უდევს საფუძვლად ჩინეთის „გლობალურ აღზევებას“, და რა გავლენა აქვს ამ ფენომენს ქვეყნების ქცევაზე, კერძოდ კი, მათი განვითარების პოლიტიკაზე? ხოლო სტატიის კონკრეტული მიზანია ჩინეთის სამხრეთ კავკასიაში რეგიონული პოლიტეკონომიური ინტერესების პრიზმით, უპასუხოს შემდეგ საკვლევ შეკითხვებს:

- რა გავლენა აქვს ჩინეთის ინტერესებს საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგია - „ხედვა 2030“-ზე?
- რომელ სფეროებში იკვეთება თანხვედრა ჩინეთის ინტერესებსა და საქართველოს 2022-2030 წლების განვითარების სტრატეგიას შორის?

„ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ თვი-

[8] T. Vien, K. Yan, R. Blackburn. The Grand Design of China's New Trade Routes. Stratfor. 2015. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://worldview.stratfor.com/article/grand-design-chinas-new-trade-routes

[9] S. Kaplan. Globalizing Patient Capital: The Political Economy of Chinese Finance in the Americas. Cambridge: University Press. 2021, გვ. 107.

სებრივი ანალიზი, რომელიც საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა 2022 წელს, ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ საქართველო ცდილობს უახლესი გეოპოლიტიკური და პოლიტეკონომიური პროცესებისადმი ადაპტაციას და საკუთარი განვითარების სტრატეგიის მორგებას ჩინეთის ინტერესებზე რეგიონში. „ხედვა 2030“-ის ანალიზის შედეგად იკვეთება ჩინეთის გლობალური სტრატეგიის როგორც პირდაპირი გავლენა, ასევე ორი ქვეყნის პოლიტიკებს შორის ინტერესთა თანხვედრა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროებში. საქართველოს განვითარების სტრატეგიის ანალიზი ჩინეთის გლობალური და რეგიონული ეკონომიკური ინტერესების ჭრილში იძლევა არამხოლოდ არსებული ისტორიული პროცესის, არამედ მისი სამომავლო მიმართულების გამოკვეთის შესაძლებლობასაც.

2. ლიტერატურის მიმოხილვა: “გლობალური ჩინეთის“ პოლიტეკონომია და მისი გადაკვეთა საქართველოსთან

„ჩინეთის აღზევების“ პოლიტეკონომიური, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ასპექტები ვრცლადაა გამოკვლეული თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, სადაც ურთიერთსაპირისპირო შეფასებებსაც ვაწყდებით. ზოგიერთი ავტორის პროგნოზით, ჩინეთის აღზევება არსებული მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ფუნდამენტური ცვლილების საწინდარია, მთელი რიგი სტრუქტურული მიზეზების გამო.[10] სხვა ავტორები, ჩინეთის აღმასვლასა და არსებულ ეკონომიკურ წესრიგს შორის მსგავს რადიკალურ წინააღმდეგობას გამორიცხავენ.[11] ზოგიც ამტკიცებს, რომ ჩინეთის გავლენის შედეგად ახალი მსოფლიო ეკონომიკური წესრიგის ჩამოყალიბების საკითხი ჯერ კიდევ ღიაა[12].

ასევე, მდიდარია ჩინეთის ეკონომიკური აღზევების კვლევები კონკრეტული რეგიონების ჭრილში. აქ კი, პირველ რიგში, გლობალური სამხრეთი – აფრიკა, ლათინური ამერიკა და აზიის ზოგიერთი რე-

[10] ამ პოზიციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელია „მსოფლიო-სისტემის“ თეორიის მიმდევარი ჩინელი ეკონომისტი მინცი ლი. იხ. M. Li. The Rise of China and the Demise of the Capitalist World Economy. Pluto Press. 2008.

[11] მაგ. იხ. L. Panitch, S. Gindin. The Integration of China into Global Capitalism. International Critical Thought, 3(2). 2013, გვ. 146–158; ასევე J. Yue. China’s Rise in the Age of Globalization: Myth or Reality? Palgrave Macmillan. 2018.

[12] მაგ. F. Nicolas. China and the Global Economic Order. China Perspectives, 2016(2). 2016, გვ. 7–14.

გიონი მოიაზრება. ჩინური კაპიტალის გლობალური მოძრაობისა და თავისებურებების ანალიზი გვეხმარება უკეთ გავიგოთ, თუ რა გეოპოლიტიკური თუ პოლიტეკონომიური ინტერესები დგას მის უკან. ამის აუცილებლობას საგარეო სესხების თანამედროვე ისტორიაც გვიჩვენებს, რამდენადაც, როგორც მკვლევრები გვეუბნებიან, ბილატერალური და მულტილატერალური სესხების პოლიტიკა გავლენიანი აქტორების სტრატეგიულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებზე დგას.[13] ჩინური მსხვილი სახელმწიფო, ე.წ. 'პოლისი ბანკები' – „ჩინეთის ექსპორტ-იმპორტის ბანკი" (Exim Bank), „ჩინეთის განვითარების ბანკი" (CDB) და „ჩინეთის სოფლის მეურნეობის განვითარების ბანკი" (ADBC), ამის კარგი მაგალითებია, რომლებიც 1994 წელს ფინანსური სექტორის რეფორმირებისას შეიქმნა. რეალურად, ეს ბანკები წარმოადგენენ სახელმწიფოს სტრატეგიულ ინსტრუმენტებს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება როგორც საშინაო, ისე საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი.[14] ეს პროცესი კიდევ უფრო აშკარა ხდება 1999 წლიდან, როდესაც პეკინი ჩინური კაპიტალის ქვეყნის საზღვრებს „გარეთ გასვლის" სტრატეგიის აქტიურად დანერგვას იწყებს.[15]

ჩინეთის ერთ-ერთ უმსხვილეს საერთაშორისო კრედიტორად ჩამოყალიბება საგარეო სესხების გლობალურ სურათსაც ცვლის. პირველ რიგში, დასავლურ აქტორებს უჩნდებათ სერიოზული კონკურენტი ჩინეთის სახით. განვითარებად ქვეყნებში, რაოდენობრივად, ჩინურ სესხებს მხოლოდ მსოფლიო ბანკი თუ შეედრება, რამდენადაც ის გაცილებით აღემატება სხვა ნებისმიერი ბილატერალური კრედიტორე-

[13] ბილატერალური საერთაშორისო სესხების ანალიზისათვის იხ. A. Alesina, D. Dollar. Who Gives Foreign Aid to Whom and Why? Journal of Economic Growth, 5(1). 2000, გვ. 33-63; A. Dreher, P. Nunnenkamp, R. Thiele. Are "New" Donors Different? Comparing the Allocation of Bilateral Aid between NonDAC and DAC Donor Countries.World Development, 39(11). 2011, გვ. 1950-1968. მულტილატერალური საერთაშორისო სესხების ანალიზისათვის იხ. A. Dreher, J.-E. Sturm, J. R. Vreeland. Politics and IMF Conditionality. Journal of Conflict Resolution, 59(1). 2015, გვ. 120-148, ან R. W. Stone. Controlling Institutions: International Organizations and the Global Economy. Cambridge University Press. 2011; ასევე იხ. D. Y. M. Lim, J. R. Vreeland. Regional Organizations and International Politics: Japanese Influence Over the Asian Development Bank and the UN Security Council. World Politics 65, no. 1 (January 2013). 2013, გვ. 34-72.

[14] N. Lardy. China's Unfinished Economic Revolution. Washington, DC: Brookings Institution Press. 1998.

[15] A. Dreher, A. Fuchs, B. Parks, A. Strange, M. J. Tierney. Banking on Beijing: The Aims and Impacts of China's Overseas Development Program. Cambridge: University Press. 2022, გვ. 3-4.

ბის მიერ გაცემული სესხების მოცულობას.[16] ამასთან, განვითარებად ქვეყნებს ამ ახალ, მეტნაკლებად მრავალფეროვან საკრედიტო ლანდშაფტში (რომელსაც „არჩევანის ეპოქასაც“ კი უწოდებენ) მეტი არჩევანის საშუალება და შესაბამისად, შედარებითი ავტონომიურობა უჩნდებათ.[17] ეს საქართველოს შემთხვევაშიც აქტუალურია, მითუმეტეს, რომ 2023 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და საქართველოს შორის გაფორმებულ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში ჩინეთის მხრიდან საქართველოში სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების დაკრედიტების საკითხი ცალკე პუნქტადაა ჩადებული.[18]

ცალკე აღნიშვნის ღირსია საქართველოსა და ზოგადად, სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური და გეოეკონომიკური მნიშვნელობა ჩინეთის „სგი“-ის და მისი ერთ-ერთი ქვე-მარშრუტის, ე.წ. „შუა დერეფნის“ კონტექსტში. „სგი“ 2013 წელს, ჯერ კიდევ „ერთი სარტყელი - ერთი გზის“ სახელით დაიწყო, როდესაც ჩინეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა და ჩინეთის პრეზიდენტმა სი ძინპინმა „აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყლის“ და „21-ე საუკუნის საზღვაო აბრეშუმის გზის“ მშენებლობის სტრატეგია საჯაროდ გააჟღერა. „სგი“ ჩინეთის კომუნისტური პარტიის საგარეო დოქტრინის ფუნდამენტურ ნაწილად ჩამოყალიბდა[19], რაზედაც მისი მასშტაბებიც მეტყველებს. 2021 წელს, ინიციატივის ფარგლებში ჩინეთს ხელი მოწერილი ჰქონდა 205 თანამშრომლობის დოკუმენტზე 140 ქვეყანასთან და 31 საერთაშორისო ორგანიზაციასთან[20]. ინიციატივის გა-

[16] S. Morris, B. Parks, A. Gardner. Chinese and World Bank Lending Terms: A Systematic Comparison Across 157 Countries and 15 Years. CGD Policy Paper 170. Washington, DC: Center for Global Development. 2020. https://www.cgdev.org/publication/chinese-and-world-bank-lending-terms-systematic-comparison

[17] A. Prizzon, R. Greenhill, S. Mustapha. An “Age of Choice” for External Development Finance? Evidence from Country Case Studies. Development Policy Review, 35(S1). 2017, გვ. 29-45; ასევე B. Cormier. Partisan External Borrowing in Middle-income Countries. British Journal of Political Science. 2022, გვ. 1-11; A. O. Zeitz. Global Capital Cycles and Market Discipline: Perceptions of Developing-country Borrowers. British Journal of Political Science, 52(4). 2021, გვ. 1944-1953.

[18] Embassy of the People’s Republic of China in Georgia. Full Text: Joint Statement of the People’s Republic of China and Georgia on Establishing a Strategic Partnership. 2023.

[19] C. K. Johnson. President Xi Jinping’s "Belt and Road" Initiative: A practical assessment of the Chinese Communist Party’s roadmap for China’s global resurgence. Center for Strategic & International Studies (CSIS). 2016, გვ. 11.

[20] F. Cai, P. Nolan, L. Wang. The Routledge Handbook of the Belt and Road. Second Edition. London:

მოცხადებიდან 10 წლის განმავლობაში ინვესტიციების რაოდენობამ 1 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა.[21]

თუმცა, ჩინეთის კომუნისტურ პარტიას სი ძინპინის მიერ „სგი"-ის გამოცხადებიდან 5 წლის თავზე მთელი რიგი 'შიდა და საერთაშორისო წინააღმდეგობებიც' დაუგროვდა. 'აშშ და ევროპა ინიციატივის გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მიზნების' დაბალანსებას უფრო აქტიურად იწყებენ, ხოლო მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის აღებული საგარეო სესხების შედეგად გავალიანებული ქვეყნების მზარდი რაოდენობა ინიციატივის პოლიტიკის შემქმნელებს 'ტაქტიკური გადაწყობისკენ' უბიძგებს[22]. მიუხედავად ამ, ერთი შეხედვით, გარდამტეხი პროცესისა, რომელიც 2018 წლიდან იწყება, მკვლევრებისთვის 'ნაკლებად სავარაუდოა პეკინისაგან „სგი"-ის მიმართულების ძირეული ცვლილება'.[23]

საქართველო, რომელიც „სგი"-ში ოფიციალურად ჩაბმული ქვეყანაა, მის მეზობელ აზერბაიჯანთან ერთად, ჯერ კიდევ 1990-იანი წლებიდან განიხილება „ისტორიული აბრეშუმის გზის" კონტექსტში[24]. სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიული მდებარეობა რეგიონის ქვეყნებს განსაკუთრებულ გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ მნიშვნელობას ანიჭებს. საქართველო აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი მარშრუტის – ე.წ. „შუა დერეფნის" ქვეყანაა, რომელიც თავის მხრივ, „სგი"-ის ერთ-ერთი – ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფნის ნაწილია, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონზე გადის. შეიძლება ითქვას, რომ „შუა დერეფნის" განვითარების პროცესში თურქეთის როლი, როგორც რეგიონული ლიდერის, ცენტრალურია, რომელიც ტრანსკასპიურ პარტნიორ ქვეყნებთან ერთად უწყვეტი ინფრასტრუქტურული ჯაჭვის შექ-

Taylor & Francis Group. 2022, გვ. xii.

[21] C. Nedopil. China Belt and Road Initiative (BRI) Investment Report 2022. Green Finance & Development Center, FISF Fudan University, Shanghai. 2023, გვ. 5.

[22] N. Rolland. Beijing's Response to the Belt and Road Initiative's "Pushback": A Story of Assessment and Adaptation. Asian Affairs, 50(2). 2019, გვ. 5-8.

[23] N. Rolland. Beijing's Response to the Belt and Road Initiative's "Pushback": A Story of Assessment and Adaptation. გვ. 14-15.

[24] ვ. პაპავა. „ერთი სარტყელი - ერთი გზის ინიციატივა" და საქართველო. ექსპერტის აზრი, 2017(93). საქართველოს საერთაშორისო და სტრატეგიული კვლევების ფონდი. თბილისი. 2017, გვ. 4.

მნის ინიცირებას განსაკუთრებით აქტიურად იწყებს 2010-იანი წლების ბოლოდან. ანკარასთვის ეს არა მხოლოდ ჩინეთის „სგი“-ის შემავსებელი, არამედ აზიაში თურქეთის დიპლომატიური და სტრატეგიული გავლენის ზრდის ინსტრუმენტიცაა.[25]

ბოლო 2-3 წლის განმავლობაში განვითარებული მოვლენების მიხედვით ასევე აშკარაა ჩინეთის მზარდი ინტერესები „შუა დერეფნის“ განვითარებასთან დაკავშირებით. ეს ოფიციალურად დასტურდება 2023 წლის ოქტომბერს პეკინში გამართულ „სარტყლისა და გზის ინიციატივის ფორუმზე“, სადაც სი ძინპინი პირველად ახსენებს ‘ტრანსკასპიურ საერთაშორისო სატრანსპორტო დერეფანს’ და ‘ევრაზიის კონტინენტზე ახალი სარკინიგზო და საავტომობილო ლოგისტიკური დერეფნის მშენებლობას’, როგორც „სარტყელის და გზის ინიციატივის“ განვითარების ერთ-ერთ ძირითად სამომავლო მიმართულებას[26]. ეს შეიძლება მარტივად აიხსნას ჩინეთის ძირითადი პოლიტეკონომიური ინტერესების მიხედვით. „შუა დერეფანი“ ჩინეთისა და ევროპის დამაკავშირებელი უმოკლესი სახმელეთო მარშრუტია მაშინ, როდესაც ვაჭრობა ჩინეთსა და ევროკავშირს შორის მზარდია. ბოლოდროინდელი სტატისტიკა არსებულ სურათს უკეთ გვიჩვენებს: ევროკავშირის ქვეყნებში ჩინეთიდან იმპორტირებული საქონლის წლიური ღირებულება 2021 წლიდან 2022 წლამდე 473 მილიარდიდან 626 მილიარდ ევრომდე გაიზარდა[27]. მაგალითისათვის, ჩინეთისა და რუსეთის ვაჭრობამ 2022 წელს ჯამში 190 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა[28], რაც იმავე წელს უკრაინაში დაწყებული ომისა და მის შედეგად რუსეთ-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობის რეკორდული ზრდის მიუხედავად, ჩინეთ-ევროკავშირის ვაჭრობასთან შედარებით მცირე რაოდენობაა.

გარდა ამისა, „შუა დერეფანი“ ჩინეთისა და ევროპის დამაკავში-

[25] E. Hussain. The Belt and Road Initiative and Middle Corridor: Complementary or Competition. 2021, გვ. 247-248.

[26] Xinhua. Full Text of Xi Jinping’s Keynote Speech at 3rd Belt and Road Forum for Int’l Cooperation. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://english.news.cn/20231018/7bfc16ac51d443c6a7a00ce25c972104/c.html

[27] Eurostat. China-EU – international trade in goods statistics. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=China-EU_-_international_trade_in_goods_statistics

[28] Reuters. China's 2022 trade with Russia hit record $190 bln – customs. 2023. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.reuters.com/world/china-customs-says-trade-with-russia-hit-new-high-2022-2023-01-13/

რებელი ალტერნატიული მარშრუტია, რომელიც რუსეთს სრულად უვლის გვერდს. ეს კი ჩინეთს სავაჭრო გზების სტრატეგიული დივერსიფიკაციის საშუალებას აძლევს. თუმცა, მიუხედავად მზარდი დინამიკისა, „შუა დერეფნის“ არსებული გამტარუნარიანობა „ჩრდილოეთ მარშრუტის“ გამტარუნარიანობის დაახლოებით 5%-ია, რაც ნიშნავს იმას, რომ შუა დერეფნის ქვეყნებმა და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა მილიარდობით დოლარის ინვესტიცია უნდა განახორციელონ დერეფნის მთავარ სატრანსპორტო მარშრუტად გადასაქცევად[29].

თავის მხრივ, თანამედროვე ჩინეთის გლობალური ეკონომიკური სტრატეგიის უკეთ მოსახელთებლად საჭიროა გადავხედოთ ჩინეთის ეკონომიკური აქტივობის უახლეს ისტორიას გლობალური სამხრეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში, და დავადგინოთ, თუ რომელ ეკონომიკურ სექტორებში შედის ჩინური კაპიტალი. 2013-2022 წლების სტატისტიკით, ჩინური კაპიტალის მთავარი სამიზნეები ცალსახად სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული, ენერგო და სამთომოპოვებითი სექტორებია[30], რაც საკითხის ამ ჭრილში ანალიზის აუცილებლობას ქმნის. ეს ტენდენცია ლოგიკურიცაა „გლობალური ჩინეთის“ (*Global China*) პოლიტეკონომიის ზემოთგანხილული ნიუანსების კონტექსტში. მაგალითისთვის, მკვლევრები ლათინური ამერიკის მაგალითზე აღნიშნავენ, რომ ჩინური კაპიტალის გადინების მოტივები ვაჭრობისა და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარებას, ახალი სასაქონლო ბაზრების გაჩენასა და ბუნებრივი რესურსების მობილიზებას უკავშირდება[31]. მსგავსი სურათია გლობალური სამხრეთის სხვა რეგიონებშიც: 2019 წლის მონაცემებით, აფრიკის კონტინენტის შემთხვევაშიც, ჩინური პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 30% ინფრასტრუქტურისა და მშენებლობის, ხოლო 25% სამთომოპოვებით სექტორში მიემართებოდა[32]. ამრიგად, სამომავლო პერსპექტივაში, „შუა დერეფნის“ ქვეყნებში, არსებული ინფრასტრუქტურული

[29] F. Sattarov. The Emerging Potential of the Middle Corridor. Horizons: Journal of International Relations and Sustainable Development, 21 (SUMMER 2022). 2022, გვ. 200.
[30] C. Nedopil. China Belt and Road Initiative (BRI) Investment Report 2022. Green Finance & Development Center, FISF Fudan University, Shanghai. 2023, გვ. 6.
[31] N. Castañeda. New Dependency?: Economic Links between China and Latin America. Issues & Studies, 53(1), Article 1740001. 2017.
[32] P. Stein, E. Uddhammar. China in Africa: The Role of Trade, Investments and Loans Amidst Shifting Geopolitical Ambitions. ORF Occasional Paper, 327 (August 2021). 2021, გვ. 11.

ჩამორჩენის აღმოფხვრა, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ჯაჭვების განვითარება, ახალი ადგილობრივი ბაზრების შექმნა და ჩინეთის ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების მობილიზებაც ჩინეთის ამჟამინდელ საგარეო სტრატეგიაში ლოგიკურად თავსდება.

3. კონცეპტუალური და მეთოდოლოგიური ჩარჩო

მანამ, სანამ ჩინური საერთაშორისო კაპიტალისა თუ ჩინეთის გლობალური ინტერესების გავლენასა და საქართველოს განვითარების სტრატეგიასთან თანხვედრაზე გადავალთ, აუცილებელია მოკლედ მოვხაზოთ ამ სტატიაში გამოყენებული კონცეპტუალური ჩარჩო და მეთოდოლოგიური მიდგომა.

ჩინეთის აღზევება (the Rise of China) გულისხმობს ჩინეთის კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკის მთავარ მოთამაშედ ჩამოყალიბებას, რომელიც, ჯერ კიდევ, 21-ე საუკუნის დასაწყისში, „ამ საუკუნის პირველი ნახევრის მთავარ მოვლენად“ ფასდებოდა.[33] დღეს, ორ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში სწრაფი ეკონომიკური ზრდის შედეგად, ჩინეთი სიდიდით მეორე ეკონომიკაა მსოფლიოში (ნომინალური მშპ) და მსოფლიო მშპ-ის 18.4%-ს შეადგენს.[34]

გლობალური ჩინეთის (Global China) ფენომენი, თავის მხრივ, თანამედროვე „ჩინეთის აღზევების“ ისტორიული პროცესისა და მის წიაღში აღმოცენებული სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების კონტექსტში ყალიბდება. ეს შინაარსით პოლიტეკონომიური კონცეპტი გულისხმობს „ჩინეთის ჭარბი დაგროვების კრიზისის კონტექსტში, რესურსების დეფიციტისა და მოგების შემცირების პრობლემის სივრცულ და პოლიტიკურ გადაწყვეტას, წინასწარ განსაზღვრული ან გარანტირებული შედეგების გარეშე“, ხოლო მისი რეალური „გეოპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ბუნების“ შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ „მისი ფორმების, ტრაექტორიებისა და შედეგების ემპირიული შესწავლით, და არა ისტორიული ალეგორიებითა თუ რიტო-

[33] M. Li. The Rise of China and the Demise of the Capitalist World Economy: Exploring Historical Possibilities in the 21st Century. Science & Society, 69(3). 2005, გვ. 420–448.
[34] International Monetary Fund. World Economic Outlook: Navigating Global Divergencies. Washington, DC. 2023, გვ. 99.

რიკული ხერხებით“.[35]

დოკუმენტის – „ხედვა 2030“-ის თვისებრივი ანალიზი მოცემულ კონცეპტუალურ და თეორიულ შუქზე სწორედ ამ ამოცანის ამოხსნას ისახავს მიზნად: ჩინეთის რეგიონული ინტერესების გავლენის და/ან მათი საქართველოს ეროვნული განვითარების სტრატეგიასთან თანხვედრის მოხელთება. დოკუმენტის ანალიზი „გლობალური ჩინეთისა“ და საქართველოს ინტერესებს შორის გადაკვეთის ოთხ წერტილს ააშკარავებს. ესენია: ქვეყანათაშორისი ურთიერთობები, სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული სფერო (შუა დერეფანი), სამთომოპოვებითი სფერო და ჰიდროენერგოსექტორი.

4. „გლობალური ჩინეთი“ და საქართველოს განვითარების სტრატეგიის – „ხედვა 2030“-ის ანალიზი.

„ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია“ საქართველოს მთავრობამ 2022 წელს დაამტკიცა. დოკუმენტი 2022-2030 წლების პერიოდს მოიცავს და „ეფუძნება საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებს და გაეროს 2030 წლის დღის წესრიგის პრიორიტეტს – წევრი ქვეყნების ერთიან ძალისხმევას ინკლუზიური და მდგრადი განვითარებისათვის“.[36] წინასიტყვაობაში ვკითხულობთ, რომ მოცემული სტრატეგიული დოკუმენტი „დაგროვებული გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, აყალიბებს მომავლის ხედვას, განსაზღვრავს განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ მიზნებს, ძირითად პრინციპებსა და მიზნების მიღწევის კონკრეტულ გზებს“.[37]

213-გვერდიანი დოკუმენტი სამ თემატურ ნაწილადაა დაყოფილი. პირველი ნაწილი „თითოეულ სექტორებში არსებულ გამოწვევებსა“ და „სიტუაციის სიღრმისეულ ანალიზს“ მოიცავს. მეორე ნაწილში „აღწერილია ამ პრობლემათა გადაჭრისათვის დასახული მიზნები და ამოცანები“, ხოლო მესამეში – „განხორციელების, მონიტორინგისა და

[35] C. K. Lee. The Specter of Global China: Politics, Labor, and Foreign Investment in Africa. The University of Chicago Press. 2017, გვ. xii.

[36] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 5. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://www.gov.ge/files/428_85680_321942_khedva-2030-saqarthvelos-ganvitharebis-strategia-1.pdf

[37] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. i.

შეფასების ჩარჩო“.[38]

დოკუმენტის ყველაზე ვრცელი, მეორე ნაწილი, ჩვენთვის განსაკუთრებული ანალიტიკური ღირებულებისაა. სწორედ აქაა დაფიქსირებული ქვეყნის საგარეო და საშინაო პოლიტიკის ძირითადი ორიენტირები. ანალიზისას იკვეთება „გლობალური ჩინეთის“ უშუალო გავლენა ორი საკითხის ირგვლივ. ესენია ქვეყანათაშორისი ორმხრივი ურთიერთობები და სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული სფერო. გარდა ამისა, ჩინური კაპიტალისა და „გლობალური ჩინეთის“ თავისებურებების გათვალისწინებით, იკვეთება ინტერესთა თანხვედრა დამატებით ორ სფეროში: სამთომოპოვებით სექტორსა და ჰიდროენერგოსექტორში.

გარდა „ჩინეთის აღზევებისა“ და „გლობალური ჩინეთის“ თავისებურებებისა, გასათვალისწინებელია კონკრეტულად ჩინეთ-საქართველოს ურთიერთობების ბოლოდროინდელი კონტექსტიც. მაგალითისათვის, 2023 წელს დადებულ სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში მკაფიოდაა დაფიქსირებული ჩინური მხარის მზაობა „საქართველოში სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად შეღავათიანი სესხების“ საკითხების შესწავლასთან დაკავშირებით.[39]

ქვეყანათაშორისი ორმხრივი ურთიერთობები

საქართველოს განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ორმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობა მკაფიოდაა დაფიქსირებული. გარდა ამისა, დოკუმენტის ამ ნაწილშივე ვაწყდებით აქცენტებს „გლობალური ჩინეთის“ რეგიონულ ინტერესებზე, როგორც ქვეყანათაშორისი ურთიერთობების გაღრმავების აუცილებლობის ძირითად მოტივებს: ტრანს-კასპიური „შუა დერეფნის“ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებას, „სგი“-ში (დოკუმენტში ნახსენები, როგორც „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ – ინიციატივის თავდაპირველი სახელწოდება) ჩართულობასა და სავაჭრო-ეკონომიკურ თანამშრომლობას. დოკუმენტის საგარეო პოლიტი-

[38] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 5.
[39] Embassy of the People's Republic of China in Georgia. Full Text: Joint Statement of the People's Republic of China and Georgia on Establishing a Strategic Partnership. 2023.

კის სტრატეგიის ნაწილში, უფრო კონკრეტულად კი ქვეთავში სახელწოდებით „ორმხრივი ურთიერთობის გაღრმავება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან“, ვკითხულობთ:

„ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის უზრუნველყოფისათვის, ხელი შეეწყობა რეგიონის ქვეყნებთან მყარი ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების ჩამოყალიბებასა და რეგიონულ სატრანზიტო, ეკონომიკურ, სავაჭრო პროექტებში აქტიურ ჩართულობას, ასევე რეგიონში ქვეყნის ხილვადობის შესამჩნევად გაზრდას.

გადაიდგმება ნაბიჯები ორმხრივი ურთიერთობების გასაღრმავებლად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, რომელიც მსოფლიოს მეორე წამყვან ეკონომიკას წარმოადგენს. საქართველოს ამოცანა იქნება ჩინეთთან ორმხრივი ურთიერთობების განმტკიცება და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროში არსებული პოზიტიური დინამიკის განვითარება. დიდი ყურადღება მიექცევა პროექტში – „ერთი სარტყელი – ერთი გზა“ აქტიურ მონაწილეობას, რათა გაიზარდოს საქართველოს, როგორც აზიისა და ევროპის დამაკავშირებელი ქვეყნის, გეოგრაფიული მნიშვნელობა, მისი სატრანსპორტო და სატრანზიტო შესაძლებლობები და შეიქმნას შესაძლებლობა ტრანს-კასპიური სატრანსპორტო კორიდორის განვითარებისათვის“.[40]

სატრანსპორტო-ინფრასტრუქტურული სფერო: „შუა დერეფანი“

როგორც სტატიის წინა თავებში ვახსენეთ, „შუა დერეფნის“ ინფრასტრუქტურის განვითარება ჩინეთის ძირითადი ინტერესის სფეროა სამხრეთ კავკასიასა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ნაწილში, სხვადასხვა პოლიტეკონომიკურ მიზეზთა გამო. ჰიპოთეზის შესაბამისად, მოსალოდნელი იყო, რომ თუ ჩინეთის გლობალურ პოლიტეკონომიურ ინტერესებს სხვადასხვა ქვეყნების (ჩვენს შემთხვევაში, საქართველოს) განვითარების სტრატეგიებზე აქვთ გავლენა, მაშინ ეს, ყველაზე მკაფიოდ, სწორედ ფუნდამენტური საკითხების ირგვლივ უნდა იყოს შემჩნევადი. ეს დაშვება, შეიძლება ითქვას, დასტურდება „ხედვა 2030“-ის მაგალითზე, სადაც გარდა საგარეო პოლიტიკისა, „შუა დე-

[40] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 99-100.

რეფნის“ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკური პოლიტიკის ნაწილშიც. ქვეთავში „ტრანსპორტი და ლოგისტიკა“ ქვეყნის სტრატეგიულ მიზნად სატრანსპორტო და ლოგისტიკური პოტენციალის ათვისება სახელდება, ხოლო სტრატეგიულ ამოცანებში ლაპარაკია, როგორც აზია-ევროპის დამაკავშირებელი „შუა დერეფნის“ განვითარების აუცილებლობაზე, ასევე მისი შემადგენელი, კონკრეტული, რეგიონული მასშტაბის მნიშვნელობის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე:

„საქართველოს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სექტორის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისათვის მნიშვნელოვანია ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სწრაფი განვითარება, რაც გულისხმობს ეროვნული ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მზარდ სისტემას, ახალ სარკინიგზო მარშრუტებს, საერთაშორისო აეროპორტებსა და გაფართოებულ საზღვაო ნავსადგურებს/ტერმინალებს, მათ შორის, ფოთის საპორტო ინფრასტრუქტურის გაფართოებისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი საპორტო ინფრასტრუქტურის პროექტების რეალიზებას. ლოგისტიკური ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით, შეიქმნება ლოგისტიკური ცენტრები აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში, რაც შესაძლებელია სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში მულტიმოდალური ლოგისტიკური ქსელის შექმნისათვის საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად იქნეს გამოყენებული“ .[41]

დოკუმენტში ნახსენებია აზია-ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის ინფრასტრუქტურის როგორც სახმელეთო,

„აზია-ევროპის სარკინიგზო დერეფნის განვითარების კუთხით, მნიშვნელოვანია ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის პროექტის დასრულება, რაც წარმოადგენს ქვეყნის გავლით დამატებითი ტვირთნაკადების მოზიდვის წინაპირობას“.[42]

„ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის ექსპლუატაციაში შესვლის, ასევე თურქეთში მარმარისის გვირაბის სატვირთო მატარებლებისთვის სრულად გახსნის შემდეგ, შესაძლებელი გახდება თურქეთის

[41] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 141-142.
[42] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 142.

გავლით ევროკავშირის ქვეყნებისთვის სარკინიგზო ტრანსპორტით ტვირთის მიწოდება. გრძელვადიან პერსპექტივაში ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტს აქვს პოტენციალი, გახდეს საქართველოს გავლით ევროპა-აზიის დამაკავშირებელი დერეფნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარშრუტი. მისი მეშვეობით, სატესტო რეჟიმში, უკვე ხორციელდება საკონტეინერო მატარებლების მიმოსვლა აზიიდან ევროპასა და ევროპიდან აზიაში".[43]

ასევე საზღვაო განზომილების განვითარების აუცილებლობა:

„სატრანსპორტო კავშირების გაღრმავებისა და შავი ზღვის პოტენციალის მეტად ათვისების მიზნით, განახლდება კვლევა და გადაიდგმება შესაბამისი ნაბიჯები საქართველოს, რუმინეთის, ბულგარეთის, უკრაინისა და თურქეთის ნავსადგურებს შორის საბორნე/საკონტეინერო მიმოსვლის განვითარების მიზნით".[44]

შეიძლება ითქვას, აზია-ევროპის დამაკავშირებელი დერეფნის საკითხის გააქტიურება სამხრეთ კავკასიის, თურქეთისა და ცენტრალური აზიის რეგიონებში აირეკლავს ჩინური მხარის მზარდ ინტერესს „სგი"-ის ფარგლებში დასახული, „ჩრდილოეთ მარშრუტის" ალტერნატიული დერეფნის განვითარებასთან დაკავშირებით, რაც, უფრო ვრცლად, წინა თავებში მიმოვიხილე. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დასახული მიზნები და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურული პროექტები პირდაპირ ბმაშია რეგიონულ, ქვეყანათაშორის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან, მეტიც, მათ მხოლოდ რეგიონულ ბმაში – ჩინეთი-ცენტრალური აზია-დასავლეთ აზიის ეკონომიკური დერეფნის კონტექსტში ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა და ეფექტიანობა.

სამთომოპოვებითი სექტორი

სამთომოპოვებითი და ენერგოსექტორები ის სფეროებია, სადაც ჩინეთის გლობალური ინტერესების უშუალო გავლენის მოხელთება შესაძლოა ნაჩქარევიც იყოს. ცხადია, რომ საქართველო ჩინური კაპიტალისა და მისი გავლენებისაგან დამოუკიდებლადაც მდიდარია სხვა-

[43] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 142-143.

[44] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 143.

დასხვა სახის სასარგებლო წიაღისეულითა თუ ჰიდრორესურსებით, რაც მოცემულ სექტორებში შესაბამისი პოლიტიკის წარმოების საფუძველს აჩენს. მიუხედავად ამისა, თანამედროვე „ჩინეთის აღზევების“ და „გლობალური ჩინეთის“ იმ კონცეპტუალიზაციის შუქზე, რომელსაც ამ კვლევისათვის ვიშველიებ, თამამად შეგვიძლია ლაპარაკი ორი მხარის სტრატეგიებს შორის თანხვედრაზე ეკონომიკის მოცემულ სექტორებში.

„ხედვა 2030“-ში საქართველოს მთავრობის სტრატეგიასა და გეგმებზე სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორთან დაკავშირებით ვკითხულობთ:

„2030 წლისთვის სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიცია გაიზრდება 80 მლნ აშშ დოლარამდე, ასევე გაიზრდება სამთომოპოვებითი სექტორის დამატებითი ღირებულების მოცულობა და მიაღწევს 650 მლნ ლარს, ხოლო სამთოპოვებითი მრეწველობის პროდუქტების (ნედლი, დამუშავებული და ნახევრად დამუშავებული მინერალები) ადგილობრივი ექსპორტი მიაღწევს 1.7 მლრდ აშშ დოლარს..., დაგეგმილი ცვლილებების განხორციელების შედეგად, 2030 წლისთვის 6000-ამდე გაიზრდება გაცემული ლიცენზიების რაოდენობა.“[45]

საქართველოს სამთომოპოვებით სექტორში პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისა და რესურსების მოპოვების ლიცენზიების რაოდენობის ზრდის სტრატეგია თანხვედრაშია ჩინეთის ინტერესებთან მისი ორი პოლიტეკონომიური თავისებურების კონტექსტში. პირველი, ჩინეთი მეტალებისა და მინერალების უმსხვილესი იმპორტიორი ქვეყანაა მსოფლიოში.[46] მეორე, როგორც წინა თავებში უკვე მიმოვიხილე, 21-ე საუკუნეში ჩინური კაპიტალის გლობალურ სამხრეთში გადინების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ მისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამიზნე აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების სამთომოპოვებითი სექტორები იყო, რაც ლოგიკურ ბმაშია ჩინეთის ეკონომიკის იმპორტზე დამოკიდებულებასა და მასში არსებულ

[45] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 134-135.
[46] Chatham House. Resource Trade Earth. 2020. ონლაინ ხელმისაწვდომია: https://resourcetrade.earth/?year=2020&importer=156&units=value&autozoom=1

თანამედროვე გამოწვევებთან თუ კრიზისებთან.

ჰიდროენერგოსექტორი

საინტერესოა, რომ ჩინური კაპიტალი ჯერ კიდევ 2000-იანი წლების დასაწყისში, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ამჟამინდელ გენერალურ მდივან სი ძინპინის ამბიციურ საგარეო ინიციატივებამდე 10-15 წლით ადრე, ჰუ ძინთაოს მმართველობისას იწყებს გადინებას გლობალური მასშტაბით სხვადასხვა ქვეყნების ჰიდროენერგოსექტორებში, რისი მაგალითიც საქართველოშიც გვაქვს ხადორჰესის სახით, რომელიც „სიჩუანის ელექტროენერგიის იმპორტისა და ექსპორტის კომპანიის“ დაფინანსებით აშენდა 2004 წელს.[47] „სგი“-იმ ჩინეთის, როგორც ჰიდროენერგოინფრასტრუქტურის სფეროში მსოფლიო ლიდერის პოზიცია, კიდევ უფრო გაამყარა.[48]

საქართველოს განვითარების სტრატეგიულ დოკუმენტში ვკითხულობთ:

„საქართველოს მდინარეებისათვის დამახასიათებელი მკვეთრი სეზონურობიდან გამომდინარე, შემოდგომა-ზამთრის დეფიციტის შესავსებად, სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს სეზონური რეგულირების წყალსაცავის მქონე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, რაც შეამცირებს დამოკიდებულებას, როგორც უშუალოდ იმპორტირებულ ელექტროენერგიაზე, ასევე თბოსადგურების მუშაობისათვის საჭირო გაზის იმპორტზე“.[49]

ცხადია აქაც, პირდაპირი გავლენის ნაცვლად, აუცილებელია აქცენტი ინტერესთა თანხვედრაზე გავაკეთოთ. გასათვალისწინებელია ორი ზემოთხსენებული ფაქტორი: ერთი მხრივ, ჩინეთი, როგორც გლობალური გიგანტი ჰიდროენერგოსფეროში, ხოლო მეორე მხრივ, ჩინეთის ინდუსტრიულ სამშენებლო სექტორში არსებული ჭარბწარმოების პრობლემა.

5. დასკვნა

პოსტ-საბჭოთა სივრცეში ჩინეთის მზარდი აქტივობა მისი თანა-

[47] K. McDonald, P. Bosshard, N. Brewer, N. Exporting Dams: China's Hydropower Industry Goes Global. Journal of Environmental Management, 90(3). 2009.

[48] F. Bega, B. Lin. China's Belt & Road Initiative Energy Cooperation: International Assessment of the Power Projects. Energy, 270(C). 2023.

[49] საქართველოს მთავრობა. ხედვა 2030. საქართველოს განვითარების სტრატეგია. 2022, გვ. 138.

მედროვე „ჩინეთის აღზევების“ და „გლობალური ჩინეთის“ ფართო კონტექსტიდან გამომდინარეობს, რაც გულისხმობს ტრანზიციულ ფაზაში მყოფი მსოფლიოს მეორე უმსხვილესი ეკონომიკის სწრაფვას გლობალური მასშტაბით ახალი ბაზრების განვითარების, ახალი სატრანსპორტო მარშრუტების შექმნისა და ახალი რესურსების მობილიზებისაკენ. ახლადგაჩენილი შესაძლებლობების გამოსაყენებლად ქვეყნები, საქართველოს მსგავსად, ცდილობენ თავიანთი ეკონომიკური და საგარეო პოლიტიკა მოარგონ გლობალური ლანდშაფტის თანამედროვე დინამიკას. საქართველომ ხელი მოაწერა ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმებებს 2017 და 2023 წლებში, და მხარს უჭერს ჩინეთის სხვადასხვა გლობალურ ინიციატივებს, როგორიცაა „სგი“. გარდა ამისა, თავისი გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური მდებარეობით ევროპისა და აზიის გზასაყარზე, საქართველო ტრანსკასპიური საერთაშორისო სატრანსპორტო მარშრუტის ოთხი ძირითადი ქვეყნიდან ერთ-ერთია.

სტატიაში განხილული ისტორიული კონტექსტებისა, და „ჩინეთის აღზევების“ და „გლობალური ჩინეთის“ თეორიულ ფონზე დოკუმენტის თვისებრივი ანალიზის შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზას, რომ „ხედვა 2030: საქართველოს განვითარების სტრატეგია“, გარკვეულწილად, წარმოადგენს მცდელობას მოერგოს ჩინეთის რეგიონულ პოლიტეკონომიურ და გეოეკონომიკურ ინტერესებს. სტრატეგიაში იკვეთება, როგორც პირდაპირი გავლენა, ასევე ორი მხარის ინტერესთა თანხვედრა ისეთ ეკონომიკურ სექტორებში რომლებიც ჩინური კაპიტალის გლობალური გადინების მთავარი სამიზნეებია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს შემთხვევა არის მაგალითი იმისა, თუ რა პირდაპირი თუ ირიბი გავლენები აქვს ჩინეთის ინტერესებსა და მზარდ აქტივობას პოსტსაბჭოთა სივრცეში ადგილობრივი სახელმწიფოების ეროვნული განვითარების პოლიტიკის მიმართულებების ფორმირებაზე.

Giorgi Kartvelishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

"GLOBAL CHINA" AND ITS IMPACT ON THE 2022-2030 DEVELOPMENT STRATEGY OF GEORGIA

Summary

China is currently the world's second-largest economy in a transitional phase as it seeks to develop new markets, establish new transport routes and value chains, and mobilize natural resources globally. "Global China" – is a phenomenon which refers to spatial and political strategies employed by the Communist Party of China to address the socio-economic challenges encountered along the process of China's rise as a world power. The growing influence of China, along with the outflow of Chinese capital into the post-Soviet space, can be understood as part of this broader historical trend.

To take advantage of emerging opportunities, smaller countries like Georgia are adapting their economic and foreign policies to align with contemporary political processes both globally and regionally. In 2017 and 2023, Georgia signed free trade and strategic partnership agreements with China, supporting various Chinese global initiatives, with the "Belt and Road" being the most significant. Furthermore, Georgia's strategic location at the crossroads of Europe and Asia positions it as one of the four main countries along the Trans-Caspian International Transport Route. This route, also known as the "Middle Corridor", is a regional initiative that forms part of the "Belt and Road", specifically associated with the China–Central Asia–West Asia Economic Corridor.

The article examines how China's political-economic interests in the South Caucasus influence Georgia's multi-sector development strategy for 2022-2030, officially named "Vision 2030: Development Strategy of Georgia". It addresses several key issues, including the political logic and interests that drive China's "Global Rise" and how this phenomenon affects the behavior and development policies of various countries. Specifically, the article seeks to answer the following research questions regarding the regional political and economic interests of China in connection to Georgia: (a) What impact do

China's interests and presence have on Georgia's "Vision 2030: Development Strategy of Georgia"? (b) In which areas do the interests of China intersect with Georgia's 2022-2030 development strategy?

In light of the history of the "Rise of Contemporary China", the results of the document's qualitative analysis confirm the hypothesis that Georgia's latest development strategy aims to align with China's regional geoeconomic interests, focusing on economic sectors that are primary targets for China's global capital outflow. Georgia serves as a notable example of how China's presence has influenced the national development policies of local states in the post-Soviet region. An examination of "Vision 2030" highlights the direct effects of China's global strategy and the alignment of interests between the economic policies of both countries across various sectors. This analysis provides insights not only into the current trends but also attempts to outline potential future developments.